ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

გენდერული სტერეოტიპების პრობლემურობა 4

საკანონმდებლო ჩარჩო და ცვლილებები 6

ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოწვევები 7

ძალადობის ბორბალი 9

I - ფაზა 9

II - ფაზა 10

III - ფაზა 10

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები 11

ქორწინების იძულება 11

გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები 13

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სხვა გარემოებები 15

აღკვეთის ღონისძიებები 16

მეორადი ვიქტიმიზაცია 18

დასკვნა 19

რეკომენდაციები 20

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს. არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა უფლებებისა და სამართლებრივი ინტერესების დაცვა დაკავშირებულია არაერთ სოციალურ-სამართლებრივ გამოწვევასთან.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეების ანალიზის საფუძველზე, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთას, საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებას, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას.

დოკუმენტში განხილულია საქართველოში არსებული გენდერული სტერეოტიპებიდან გამომდინარე წარმოშობილი ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოწვევები. ასევე, მიმოხილულია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და ბოლო პერიოდში შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული საქმეების მაგალითზე განხილულია ოჯახში ძალადობის დინამიკის განმსაზღვრელი - ძალადობის ციკლის თეორია და მისი ფაზები. დოკუმენტში ხაზგასმულია ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გამოხატულია იძულებით ქორწინებაში, გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებში, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არასათანადოდ გამოყენებასა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაში. ასევე, ანალიტიკური დოკუმენტი მიმოიხილავს მსხვერპლი ქალების მეორადი ვიქტიმიზაციის დაუშვებლობასა და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის აუცილებლობას.

დასკვნის სახით შეჯამებულია ანალიტიკურ დოკუმენტში აღწერილი ძირითადი მიგნებები და წარმოდგენილია პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციები.

გენდერული სტერეოტიპების პრობლემურობა

ქალთა მიმართ ძალადობა რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ადამიანის უფლებათა დარღვევად მთელ მსოფლიოში. გლობალური სტატისტიკის მიხედვით, 15-დან 49 წლამდე ასაკის ქალების 31%-ს, უფრო კონკრეტულად, 852 მილიონამდე ქალს, განცდილი აქვს ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან. რაც გულისხმობს, რომ ძალადობა გავლენას ახდენს ყოველი სამიდან ერთ ქალზე და მასშტაბურად უქმნის საფრთხეს ქალების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას[1]. ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი მიზეზები მრავალფეროვანია და ძირითადად აღმოცენდება გენდერულ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისგან.

საქართველოში, განსაკუთრებით - სოფლებში, ქალის როლთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც შემოსაზღვრულია

[1] World Health Organization. (2021). Violence against women prevalence estimates, 2018: global, regional and national prevalence estimates for intimate partner violence against women and global and regional prevalence estimates for non-partner sexual violence against women. World Health Organization. https://apps.who.int/iris/handle/10665/341337. P. 37

კონსერვატიული სოციოკულტურული ნორმებით[2]. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2020 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, საქართველოში გამოკითხული მამაკაცების - 60%, ხოლო ქალების - 38% მიიჩნევს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა არა პროფესიული განვითარება, არამედ ოჯახზე ზრუნვაა. გამოკითხული ქალებისა და მამაკაცების დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ მამაკაცებს უფრო შეეფერებათ პოლიტიკოსობა, ვიდრე ქალებს. დამატებით აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ მამაკაცთა ნახევარზე მეტის აზრით, ოჯახში ძალადობა არის „ოჯახის პირადი საქმე". ამგვარი დამოკიდებულება ხელს უშლის ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენას, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობაზე რეალური სურათი ხელმისაწვდომი არ არის.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. ასევე, სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად[3]. იმ შემთხვევებში, როცა გენდერული როლები სტერეოტიპულად აღიქმება, რომლის მიხედვითაც ქალთა საშინაო შრომა გაუფასურებულია, ხოლო მამაკაცების ინტელექტუალური შესაძლებლობები ქალისაზე უპირატესად მიჩნეული, იქმნება თანასწორობის უფლების დარღვევისთვის გამიზნული გარემო.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, უნდა ემყარებოდეს მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას[4]. თუმცა, თუკი საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების გამო, ქმარს თავი ცოლზე აღმატებულად მიაჩნია, მას თანასწორის სტატუსი აღიზიანებს, რაც შემდგომში შესაძლოა ოჯახური ძალადობის მაგალითებში გამოვლინდეს.

ამგვარად, საქართველოში არსებობს ძალადობის წამახალისებელი სოციალური ნორმები და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები. 2020 წლის მონაცემებით, ქართველების 18.1% თვლის, რომ ბიჭისთვის უფრო მნიშნველოვანია უნივერსიტეტის დასრულება, ვიდრე გოგოსთვის მაშინ, როცა, მაგალითად, შვედეთში ეს მაჩვენებელი 2.6%-ს შეადგენს. მეტიც, ზოგიერთი მასწავლებელი, რომელიც თავად არის ვალდებული ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში განაცხადოს შესაბამის უწყებებში, თვლის, რომ გარკვეულ შემთხვევებში (ღალატი - 12%, გარეთ დაუკითხავად გასვლა - 9%, უარი სექსუალურ კავშირზე - 8% და ა.შ.) დასაშვებია ქმრის მიერ ცოლის ცემა. მხოლოდ მასწავლებლების 14% მიიჩნევს, რომ ცემა ყველანაირ მოცემულობაში არის სრულიად მიუღებელი[5]. გარდა ამისა, გენდერული ნორმები ხელს უშლის ქალებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მოძიებაში, ვინაიდან მათი ძირითადი დრო სახლის საქმეებზე და გენდერული როლისთვის დამახასიათებელ სხვა საქმიანობებზე ნაწილდება. ამ ყოველივემ შესაძლოა ახსნას ის ფაქტი, რომ საქართველოში გამოკითხული ქალების 20-25%-ს განცდილი აქვს ეკონომიკური და ემოციური ძალადობა პარტნიორის მხრიდან[6].

---

[2] European Union. 2021. GENDER EQUALITY IN GEORGIA IN GAP III PRIORITY AREAS: COUNTRY REVIEW EU4GENDEREQUALITY REFORM HELPDESK, p 11
[3] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 11 (3)
[4] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 30.
[5] UN WOMEN. (2020). VIOLENCE AGAINST WOMEN IN GEORGIA,
[6] United Nations Development Programme, Men, Women and Gender Relation in Georgia: Public Perceptions and Attitudes, UNDP, Tbilisi, 2020

საკანონმდებლო ჩარჩო და ცვლილებები

საქართველოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა, ითვალისწინებს ქალთა უფლებების დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველა ადამიანი თანასწორია[7]. ქალთა უფლებები დაცულია როგორც საქართველოს სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კოდექსით. ქვეყანაში მოქმედებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი. ასევე, 2014 წლიდან მიღებულია კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა. 2017 წელს საქართველო „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, ე.წ. სტამბულის კონვენციასაც შეუერთდა. ასევე, 2017 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განისაზღვრა, რომ დანაშაულის ჩადენა სქესის ნიშნით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, 2014 წლიდან მოყოლებული საქართველოში 25-ზე მეტ საკანონმდებლო აქტში შევიდა ცვლილება[8].

2022 წლის დასაწყისში, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა, რაც 12 რეკომენდაციის შესრულების შემთხვევაში, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაში გამოიხატებოდა. აღნიშნული 12 რეკომენდაციის ფარგლებში დადებითად შეფასდა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები მე-9 პრიორიტეტთან მიმართებაში, რაც გენდერული თანასწორობის ზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებას გულისხმობს. ხელისუფლების მიერ გადადმული აქტივობების ფარგლებში, პარლამენტმა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში მიიღო ცვლილებები; სავალდებულო გახდა კანონპროექტების გენდერზე გავლენის შემოწმება; მთავრობამ მიიღო დადგენილება ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ; გაუქმდა სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობის საჭიროებისას „მსხვერპლის სტატუსის“ არსებობის წინაპირობა და ა.შ. გატარებულ ცვლილებებს მხარს უჭერენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც[9].

მიუხედავად უკვე არსებული დადებითი საკანონმდებლო ცვლილებებისა, პრობლემად რჩება ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პრობლემების არამხოლოდ საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება, არამედ სოციალურ ასპექტში მოგვარებაც. ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს არა დამნაშავე პირების დასჯაზე, არამედ ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების პრევენციაზე, მათ შორის, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების გზით.

---

[7] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 11

[8] ახალი წელი ქალების გარეშე - ფემიციდი 2022 წელს (28.12.2022) (ბოლო ნახვა: 28.09.2023)

[9] კანდიდატის სტატუსმეტრი; ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მდგომარეობა; „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“, „სასამართლოს გუშაგი“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი”, „მმართველობის მონიტორინგის ცენტრი”, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „საფარი“; 2023; გვ35

ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები და გამოწვევები

ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას წარმოადგენს. მსხვერპლი ქალი არის პირი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური ძალადობით, ფსიქოლოგიური ძალადობით, ეკონომიკური ძალადობით, სექსუალური ძალადობით ან იძულებით[10]. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე მოძალადედ მიიჩნევა ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას[11].

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში განმარტებულია ძალადობის ფორმები:

- ფიზიკური ძალადობა არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
- ფსიქოლოგიური ძალადობა არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;
- იძულება არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
- სექსუალური ძალადობა არის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; ასევე სექსუალური ძალადობაა გარყვნილილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
- ეკონომიკური ძალადობა არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;[12]

ქალთა მიმართ ძალადობის თითოეული ფორმა დაკავშირებულია სხვადასხვა გამოწვევასთან. მაგალითად, სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ

[10] საქართველოს კანონი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ. 4 (ვ)
[11] საქართველოს კანონი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ. 4 (თ)
[12] საქართველოს კანონი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ. 4 (ა) (ბ) (გ) (დ) (ე)

საქართველოში ქალების 42% და მამაკაცების 50% გაუპატიურებად არ მიიჩნევს ქმედებას, თუკი მსხვერპლი მკვეთრად, ჩხუბით არ გამოხატავს ფიზიკურ წინააღმდეგობას[13]. მეტიც, დაბალია ცნობიერება ქმრის მიერ ცოლის გაუპატიურების შემთხვევების დანაშაულად მიჩნევასთან დაკავშირებითაც. ასეთი დამოკიდებულებები ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში არსებულ განმარტებას სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებასთან დაკავშირებით.

ე.წ. სტამბოლის კონვენციის მიხედვით, ქმედების სექსუალურ ძალადობად მისაჩნევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანხმობის არარსებობას. ხოლო, თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით[14]. აქედან გამომდინარე, **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შეიცვალოს გაუპატიურების განმარტება** იმგვარად, რომ თანხმობის არარსებობა იყოს დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სრულად, სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა აისახოს ნებაყოფლობით გაცემული თანხმობის ცნება. დამატებით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საჭიროა ცვლილებები შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ დებულებებში, რომლებიც შეეხება გაუპატიურებას და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულებსაც[15].

ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, ვითარდება კომუნიკაციის საშუალებებიც. შესაბამისად, ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავს არამხოლოდ ფიზიკურ სივრცეს, არამედ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებსაც.

საქართველოში მომრავლდა ინტერნეტის მეშვეობით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში, მამაკაცმა „ფოტოშოფის“ მეშვეობით გააერთიანა ნაცნობი ქალის სახისა და ინტერნეტში მოპოვებული შიშველი ქალის სხეულის სურათები. ამის შემდეგ, მამაკაცი სოციალური ქსელის მეშვეობით, ნაცნობ პირებთან გავიდა კონტაქტზე, რათა ქალის ღირსება დაემცირებინა და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართულობით მოხერხდა ამ ქმედების აღკვეთა, მაგრამ გასათვალისწინებელია და კვლევებიც აჩვენებს, რომ დღესდღეობით ციფრული ძალადობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია და ის განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებზე[16].

ონლაინ ძალადობა ასახავს სისტემურ სტრუქტურულ გენდერულ უთანასწორობას. გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვანია, თითოეულმა ხელისუფლებამ მეტი გააკეთოს იმისათვის, რომ ეფექტურად აიცილოს თავიდან ონლაინ ძალადობის ახალი და მზარდი ფორმები[17]. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს, რამდენად ეფექტურად გამოიყენება ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ არსებული სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები ონლაინ ან ტექნოლოგიების საშუალებით

[13] UN WOMEN. (2020). VIOLENCE AGAINST WOMEN IN GEORGIA, p3
[14] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“, მ. 36
[15] GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, გვ. 8
[16] INNOVATION AND PREVENTION OF VIOLENCE AGAINST WOMEN, Practice Brief, 2023, UN Women
[17] ACCELERATING EFFORTS TO TACKLE ONLINE AND TECHNOLOGY FACILITATED VIOLENCE AGAINST WOMEN AND GIRLS (VAWG), (2023).

ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში,[18] რათა შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას ონლაინ ფსიქოლოგიური ძალადობის პრევენციისათვის.

ძალადობის ბორბალი

მოძალადის მიერ მსხვერპლის მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება ხშირად აუხსნელი, სპონტანური ქმედებების ერთობლიობაა და რთულია ერთგვაროვანი კლასიფიცირების ჩამოყალიბება. ამის მიუხედავად, არსებობს სხვადასხვა თეორები, რომელთა მიზანია ძალადობის თავისებურებათა განსაზღვრა. ოჯახში ძალადობის დინამიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ თეორიას ძალადობის ციკლის თეორია ეწოდება და ის 1979 წელს განავითარა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა. სოციალური ციკლის თეორიის მიხედვით, ძალადობის ბორბალი სამი ძირითადი ფაზისგან შედგება: დაძაბულობის ზრდა, ძალადობის სერიოზული ინციდენტი და შერიგება[19]. ამგვარი კლასიფიცირება შედარებით უკეთ მიესადაგება ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის გამოცდილებასაც. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი საქმის ანალიზი უმჯობესია სწორედ აღნიშნული თეორიის მაგალითზე მოხდეს.

I - ფაზა

მოძალადე ძალადობის ბორბალს ოჯახში ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვების მიზნით ატრიალებს. ამ თეორიის მიხედვით, მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთობის პირველ ფაზაში, წყვილს შორის იზრდება დაძაბულობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ფული, სამსახური, საშინაო საქმეები და ა.შ. ამ პერიოდში მსხვერპლი ცდილობს თავიდან აიცილოს კონფლიქტი გარკვეულ დათმობებზე წასვლით და მოძალადის ინტერესების გათვალისწინებით. თავის მხრივ, მოძალადე გაღიზიანებულია, კამათობს, აკრიტიკებს, იგინება, ზოგჯერ მიმართავს იძულებას, მუქარას და ჩხუბს. შედეგად, დაძაბულობა ნელ-ნელა პიკს აღწევს[20].

მნიშვნელოვანია, რომ დაძაბულობის ზრდის ეტაპზე მოხდეს ძალადობის ბორბლის შეჩერება. ადამიანის უფლებათა ცენტრს ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით დაუკავშირდა ქალბატონი, რომელიც ყოფილი მეუღლის აგრესიული ქმედებების მსხვერპლი გახდა. სამართალდამცავებს მამაკაცისთვის შემაკავებელი ორდერი უკვე 4-ჯერ ჰქონდათ გამოწერილი, მაგრამ ეს მისთვის წინაღობას არ წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ როცა შემაკავებელი ორდერი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და საჭირო ხდება მისი მრავალჯერადი გამოწერა, უმჯობესია, მოხდეს მოძალადის უფრო მკაცრი ზომებით შეჩერება. აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, სასამართლო სხდომაზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართულობით მოხერხდა მხარეების მორიგება ქალის ინტერესების გათვალისწინებით.

---

[18] GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, გვ. 99

[19] Kaslow, F. W. (Ed.). (1996). Handbook of relational diagnosis and dysfunctional family patterns. John Wiley & Sons./ Cycle of Abuse https://www.cep-probation.org/wp-content/uploads/2018/10/RJIrmgard-Winkler1.pdf

[20] SangeethaJ, Mohan S, Hariharasudan A, Nawaz N. Strategic analysis of intimate partner violence (IPV) and cycle of violence in the autobiographical text -When I Hit You. Heliyon. 2022 Jun 16;8(6):e09734. doi: 10.1016/j.heliyon.2022.e09734. PMID: 35761928; PMCID: PMC9233205.

ქალთა მიმართ ძალადობისა და სერიოზული დანაშაულებრივი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ დაძაბულობის ზრდის ეტაპი დროულად შეჩერდეს.

II - ფაზა

მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთობაში ციკლის მეორე, ე.წ. „აფეთქების“ ფაზა ძალადობის სერიოზული ინციდენტით გამოიხატება. ამ დროს ხდება ძირითადი ძალადობა, ფიზიკური და/ან სექსუალური თავდასხმა. აღსანიშნავია, რომ ეს ფაზა გამოწვეულია არა მსხვერპლის მიერ ჩადენილი საქციელით, არამედ გარშემო არსებული მოვლენებით, ან მოძალადის ემოციური მდგომარეობით. შესაბამისად, მსხვერპლი ვერ აკონტროლებს სიტუაციას და მას მხოლოდ დაზიანებებისგან თავდაცვაზე ზრუნვა შეუძლია. ამ პერიოდში არის ტრავმირების ყველაზე დიდი ალბათობა და ხშირად სწორედ ამ დროს ხდება პოლიციის გამოძახებაც. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ფაზაში, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მოახდიონ სწრაფი და ეფექტური რეაგირება[21].

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა მსხვერპლის უფლებამონაცვლე მამის ინტერესებს, რომლის ქალიშვილი მუდმივად იყო მეუღლის მხრიდან სიტემატური ძალადობის მსხვერპლი. ერთ-ერთი ძალადობრივი ინციდენტის დროს, ადგილზე მივიდა პოლიცია და მოძალადეს გამოუწერა შემაკავებელი ორდერი. ამის მიუხედავად, ამ ფაქტიდან ერთი წლის შემდეგ მამაკაცმა სიცოცხლეს გამოასალმა ყოფილი მეუღლე და სცადა თვითმკვლელობის ინსცენირება. მართალია, მოძალადეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შედეგობრივად დადგა გამოუსწორებელი ზიანი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი დედობრივი მზრუნველობის გარეშე დარჩა.

იმისათვის, რომ მსგავსი ტრაგედიები თავიდან იყოს აცილებული, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დროულ რეაგირებასთან ერთად მოხდეს რისკების სწორი შეფასება დანაშაულის პრევენციის მიზნით.

III - ფაზა

ძალადობის ციკლის მესამე ფაზა ცნობილია როგორც „თაფლობის თვე“. ამ ეტაპზე მოძალადეს უჩნდება შერიგების სურვილი და წარმოაჩენს ფსიქოლოგიაში კარგად ნაცნობ მიდგომებს. ის ხდება მოსიყვარულე და გულუხვი პარტნიორი, გამოხატავს სინანულს და ცდილობს თავად მსხვერპლს ან სხვა ფაქტორებს დააბრალოს ჩადენილი საქციელი. ასევე, იძლევა დაპირებებს, რომ ძალადობა აღარ განმეორდება და მაქსიმალურად ცდილობს მსხვერპლი დაარწმუნოს, რომ არ ღირს ურთიერთობის გაწყვეტა. შედეგად, მსხვერპლს უჩნდება ილუზია, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. თუმცა, რა თქმა უნდა, გადის დრო და ძალადობის ბორბალი ახლიდან ტრიალდება. ყოველი შემდგომი ციკლი უფრო და უფრო მძიმე ძალადობის ფორმებით გამოირჩევა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, შერიგების ფაზა მოკლდება და ციკლის მეტი ნაწილი მხოლოდ ძალადობას ეთმობა[22].

იურიდიულ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ ოჯახური ძალადობის ციკლში არსებული შერიგების ფაზის გამო მსხვერპლმა, შესაძლოა, შეცვალოს სამართლებრივი ჩვენება.

---

[21] Sangeetha J, Mohan S, Hariharasudan A, Nawaz N. Strategic analysis of intimate partner violence (IPV) and cycle of violence in the autobiographical text -When I Hit You. Heliyon. 2022 Jun 16;8(6):e09734. doi: 10.1016/j.heliyon.2022.e09734. PMID: 35761928; PMCID: PMC9233205.

[22] Sangeetha J, Mohan S, Hariharasudan A, Nawaz N. Strategic analysis of intimate partner violence (IPV) and cycle of violence in the autobiographical text -When I Hit You. Heliyon. 2022 Jun 16;8(6):e09734. doi: 10.1016/j.heliyon.2022.e09734. PMID: 35761928; PMCID: PMC9233205.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ საქმეში მსხვერპლმა დახმარების მიზნით მიმართა იურისტს, რადგან ის იყო მეუღლის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ერთ-ერთი ძალადობრივი ინციდენტის დროს, ქალს მეუღლემ მიაყენა სხეულის დაზიანება და საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბრალდებული მამაკაცი დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით გაათავისუფლეს აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართულობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ოჯახის წევრის მიმართ მუქარისა და ძალადობის მუხლების საფუძველზე, მოხერხდა მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. ამის მიუხედადვად, მოძალადემ დაიწყო მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მისცა პირობა, რომ აღარ იძალადებდა, ასევე დაჰპირდა უძრავი ქონების ჩუქებას, რის გამოც მსხვერპლს შეეცვალა დამოკიდებულებები და უარი განაცხადა შესაბამის იურიდიულ დახმარებაზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი საქმე, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრს უფასო იურიდიული კონსულტაციის ფარგლებში მიმართა ქალმა, რომელიც მეუღლის მხრიდან განიცდიდა ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. იმის მიუხედავად, რომ მამაკაცი სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე და მას ღამე ძილის საშუალებასაც არ აძლევდა, ქალი უარს აცხადებდა ქმრის წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის რჩევით, საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი, რომლის დახმარებითაც ქალმა შეძლო მოძალადესთან დაშორება და მისი სახლიდან წამოსვლა. ამჟამად ქალბატონი მეგობართან თანაცხოვრობს და მეუღლესთან ქონების გაყოფის პროცესს აწარმეობს.

ამგვარად, მართალია, მოძალადისთვის დამახასიათებელია მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობა, მაგრამ საქმის სწორად წარმართვის შემთხვევებში, შესაძლებელია ძალადობის ციკლის რღვევა და ქალთა გაძლიერება მათი მსხვერპლის მდგომარეობიდან გამოყვანის გზით. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზა იმგვარად იყოს მოწყობილი, რომ პირის მიერ სისხლის სამართლის საჩივარზე უარის თქმამ/ მის მიერ განცხადების უკან გამოტანამ ხელი არ უნდა შეუშალოს ხელისუფლებას, დაიწყოს ან განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნა სავარაუდო დამნაშავეზე[23].

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები

ქორწინების იძულება

ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომლისთვისაც აუცილებელია ქორწინების შესაბამისი ასაკისა და დასაქორწინებელ პირთა შორის თანხმობის არსებობა, რადგან სხვა შემთხვევაში ქორწინება ბათილად ჩაითვლება [24]. სტამბულის კონვენციის 37-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს აიძულებს ქორწინებაში შესვლას.

[23] Gaidukevich v. Georgia, no. 38650/18, § 71, 15 June 2023
[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1106; 1107; 1140.

ამის მიუხედავად, პრაქტიკაში ვლინდება იძულებითი ქორწინების შემთხვევები, რაც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებდა საქმეს, რომელშიც გოგო ადანაშაულებდა ყოფილ შეყვარებულსა და მის მეგობარს თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. სასამართლომ ყოფილი შეყვარებული დამნაშავედ ცნო ქორწინების იძულებასა და ადევნებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული პირი დღემდე მიმალვაში იმყოფება. რაც შეეხება მეგობარს, მან სასჯელი უკვე მოიხადა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლის, ქორწინების იძულების, მსჯავრდებით.

2017 წლიდან საქართველოში ქორწინების ასაკად განსაზღვრულია 18 წელი, ხოლო ამ ასაკს მიუღწეველთან ქორწინება აკრძალულია[25]. ამის მიუხედავად, საქართველოში 2018 წელს რეგისტრირებული იყო 715 არასრულწლოვანი დედა და 23 არასრულწლოვანი მამა[26]. 2019 წელს გამოძიება დაიწყო ადრეულ ასაკში იძულებითი ქორწინების 105 საქმეზე, ხოლო 2020 წელს - 132 საქმეზე. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით კი ზოგიერთ თემში, ტრადიციების გამო ჯერ კიდევ მისაღებია იძულებითი ქორწინება და ადრეულ ასაკში გოგოს მოტაცება. სამწუხაროდ, ხშირად მსგავსი ფაქტები არც რეგისტრირებულია და არც მთავრობა აღრიცხავს მონაცემებს. ეს ყოველივე აფერხებს კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულებას. ასევე, მართალია, იძულებითი ქორწინება დასჯადია საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო ამავე ქმედების ჩადენა არასრულწლოვანთან დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, მაგრამ კოდექსში არ არის იმპლემენტირებული სტამბოლის კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს პირის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მსხვერპლი არ ცხოვრობს, მასთან ქორწინების იძულების მიზნით[27].

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი საქმის დეტალების მიხედვით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გოგო წინასწარი შეთანხმებით სამმა სრულწლოვანმა პირმა მოიტაცა მაშინ, როდესაც ის ახლობლის ოჯახიდან თავის სახლში ბრუნდებოდა. ერთ-ერთ პირს გოგოს იძულებით ცოლად შერთვა ჰქონდა განზრახული. მეტიც, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი მოძალადემ გააუპატიურა იმ იმედით, რომ მას თემი კაცთან ქორწინებას აიძულებდა. არასრულწლოვანს სამი დღის განმავლობაში ეძებდა პოლიცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოძალადე გამართლდა გაუპატირების ნაწილში და თანამზრახველ პირებთან ერთად მხოლოდ დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთას. საბედნიეროდ, ეს განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში და 2022 წელს სააპელაციო სასამართლომ მოძალადეს ასევე წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გაუპატიურება დაუდგინა და მას 7 წლის ნაცვლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 6 თვის ვადით დაუმძიმდათ პასუხისმგებლობა მსჯავრდებულის თანამზრახველებსაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

[25] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ. 1108
[26] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2018, გვ 137
[27] GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, გვ. 63

პალატამ დაუშვებლად ცნო მსჯავრდებულების საკასაციო საჩივარი, რითაც საბოლოოდ დასრულდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

ზემოთხსენებული ფაქტების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია იძულებითი ქორწინების პრევენციაზე მუშაობა და გოგონებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა, რათა არსებული კანონმდებლობა ეფექტიანად აღსრულდეს პრაქტიკაშიც.

გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები

დანაშაულის ჩადენა გენდერის, გენდერული იდენტობის, ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის[28]. როდესაც დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივი ქმედება გენდერული მოტივით ხორციელდება, მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.

ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მსგავსი კატეგორიის საქმეების კვალიფიცირება არ ხდება სწორად. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში, ქალი წლების განმავლობაში იყო მეუღლის მხრიდან სისტემური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ძალადობა ხდებოდა ბავშვების თანდასწრებით, გენდერზე მითითებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით. ამის მიუხედავად, საქმეზე არ ყოფილა მსჯელობა გენდერის ნიშნით დამამძიმებელ გარემოებაზე. მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის აქტიური ჩართულობით მოხდა მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციით თბილისის სასაქალაქო სასამართლომ ბრალდებულს ოჯახში ძალადობის საქმეზე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ოჯახში ძალადობის, ქალთა დისკრიმინაციის, ჩაგვრის და სისტემური ძალადობის უკიდურესი გამოვლინება გამოიხატება გენდერული ნიშნით ქალისთვის სიცოცხლის მოსწრაფებაში, ე.ი. ფემიციდში[29]. ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, რომლის მოტივი და კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, მასთან შედარებით უპირატესი მდგომარეობის დამტკიცებასთან, მისი ქცევის კონტროლთან და ა.შ.[30] აქედან გამომდინარე, ფემიციდის გამოძიებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ მოტივის გამოვლენას.

გენდერული მოტივის ნიშნებია, როდესაც წყვილს შორის ურთიერთობაში თავს იჩენს სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა; მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული, მესაკუთრული ან სექსისტური დამოკიდებულება და ქცევის კონტროლი[31]. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების დაკვირვებით, პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როცა იკვეთება დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენა, მაგრამ **სასამართლო არ მსჯელობს გენდერული ნიშნით დამამძიმებელი გარემოების შესახებ ან სასამართლო განაჩენში არასათანადოდ ასაბუთებს მის გამოყენებას.** მაგალითად,

[28] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 53[1] (1)
[29] Diana E. H. Russel, and Roberta A. Harmes. Femicide in Global Perspective („ფემიციდი გლობალურ კონტექსტში''). New York: Teachers College, 2001. Print. გვ. 77-78
[30] „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში"; 2016; საქართველოს სახალხო დამცველი
[31] „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში"; საქართველოს სახალხო დამცველი; 2020; გვ. 7

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა დაზარალებულის უფლებამონაცვლე დედას, რომლის ქალიშვილი მეუღლემ ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ითხოვდა გენდერული ნიშნის გამოკვეთას და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციის მინიჭებას, სამივე ინსტანციის სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო მხოლოდ ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობაში.

სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენებში, მოსამართლეთა მოსაზრებებს შორის იკვეთება განსხვავებები გენდერული ნიშნით დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობისას. გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობის შემთხვევებში, სამწუხაროდ, მოსამართლეების უმრავლესობა არ მიიჩნევდა ქალის მიმართ ეჭვიანობას გენდერული მოტივის დამადასტურებელ გარემოებად მაშინ, როცა ეჭვიანობის გამო ჩადენილი მკვლელობა, ხშირად, სწორედ მესაკუთრული დამოკიდებულების, შესაბამისად, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოვლინებაა და სასამართლო განაჩენში მსჯელობაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა ყოფილიყო წარმართული[32].

2018-2022 წლების სტატისტიკით, საქართველოში ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის 56 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან ყველაზე მეტ - 34 შემთხვევაში, დამნაშავე იყო ქმარი. ფემიციდის შედეგად, მხოლოდ 2022 წელს, 21 ბავშვი დაობლდა. მკვლელობის მიზეზი უმეტესად ქალებზე კონტროლის მოპოვების სურვილი და „ღირსების დაცვა“ იყო. ქალებს კლავდნენ ისეთი მიზეზების გამოც, როგორიც არის, მაგალითად, შერიგებაზე, განქორწინებაზე ან დაქორწინებაზე უარის თქმა[33].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო საქმეთა გამოძიების ეტაპზე, განსაკუთრებით კი მკვლელობის საქმეებზე, ვალდებულია გაარკვიოს, ხომ არ იყო დანაშაული კავშირში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან. ვინაიდან, სპეციფიკური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები უნდა გაიმიჯნოს ამგვარი მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულებისგან[34]. მეტიც, თუკი არ მოხდება საქმეთა ამგვარი კლასიფიცირება, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რაც გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის და სხვ. გამო[35].

საქართველოს წინააღმდეგ არსებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეში, პირმა 16-ჯერ მიმართა სამართალდამცავებს დახმარების თხოვნით, მაგრამ სამართალდამცავებმა მაინც ვერ მოახერხეს ტრაგედიის თავიდან აცილება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ **ქვეყანაში იკვეთება სისტემური პრობლემა, რაც გამოიხატება მსხვერპლის მიერ სამართალდამცავებისთვის მრავალჯერადი მიმართვის შემთხვევათა ცალ-ცალკე საქმეებად აღქმაში.** ამგვარი დამოკიდებულება მოძალადეებისთვის დაუსჯელობასთან ასოცირდება და ძალადობის განმეორებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მიმართვები ერთიანობაში გაანალიზდეს. საამისოდ კი, საკანონმდებლო ბაზა იმგვარად უნდა

[32] „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში“; საქართველოს სახალხო დამცველი; 2020; გვ. 33-38
[33] ახალი წელი ქალების გარეშე - ფემიციდი 2022 წელს (28.12.2022) (ბოლო ნახვა: 28.09.2023)
[34] Nachova and Others v. Bulgaria [GC], nos. 43577/98 and 43579/98, § 160, ECHR 2005-VII
[35] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 14

შეიცვალოს, რომ შესაბამის უწყებებს თავიანთი ინიციატივით, მათ შორის, დაზარალებული პირის მიერ მომართვის გარეშეც, ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გამოიძიონ საქმეები[36].

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სხვა გარემოებები

გენდერის ნიშნის გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით. შეუწყნარებლობის მოტივი არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება[37]. ასევე, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით[38].

აღსანიშნავია, რომ მოძალადე ხშირად განზრახ არჩევს მსხვერპლს, რომელიც უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით ხშირია ძალადობა მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ ისეთ ქალებზე, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები ან ლგბტ ჯგუფს მიკუთვნებული პირები.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში მოძალადე ორი წლის განმავლობაში ძალადობდა არასრულწლოვანზე. ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართულობით, რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დამნაშავეს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამჟამად საქმე სააპელაციო სასამართლოში განიხილება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული კიდევ ერთი საქმის დეტალების მიხედვით, კახეთის სოფელში, სოციალურად დაუცველ ოჯახში დედასთან ერთად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ქალი მეზობლის მიერ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. ნასვამი მეზობელი ახალგაზრდა გოგოს სახლში მივიდა და მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით წაიყვანა თავის სახლში. მართალია, მეზობელს წინააღმდეგობას დედაც უწევდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ახალგაზრდა ქალს ლოყისა და ტუჩის არეში უფიქსირდებოდა ნაკბენები და ასევე აღენიშნებოდა სხვა მსუბუქი დაზიანებები. გოგომ აღნიშნა, რომ მეზობელი მასზე ადრეც ძალადობდა და სექსუალურად ავიწროებდა. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ცენტრის ჩართვის შემდეგ, ბრალდებულ პირს გაუპატიურების მცდელობის გამო ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 2017-2019 წლებში ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლისას მოსამართლეები საერთოდ არ იყენებენ ან იშვიათად იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს. მაგალითად, სასჯელის დანიშვნისას, გენდერული მიკერძოების მოტივი ან დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არ განიხილებოდა დამამძიმებელ გარემოებად. ამჟამად, მართალია, შეინიშნება გარკვეული პროგრესი,

[36] Gaidukevich v. Georgia, no. 38650/18, §62, §71, 15 June 2023
[37] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 53[1] (1)
[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 53[1] (2)

მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლში წარმოდგენილი ყველა დამამძიმებელი გარემოება არამხოლოდ თეორიულად აისახოს ქართულ კანონმდებლობაში, არამედ პრაქტიკაშიც ეფექტიანად იყოს გამოყენებული სასამართლოს მიერ[39].

აღკვეთის ღონისძიებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ მან თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას და აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს განაჩენის აღსრულება[40]. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა[41].

ხშირად ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, მათ შორის, მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერის დარღვევის საქმეებში, პრობლემურია სასამართლოს მიერ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რადგან, შედეგად, ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, რომ დაზარალებულის მიმართ ჩაიდინოს კიდევ უფრო მძიმე დანაშაული. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ დაზარალებულთან საცხოვრებლად მოძალადის დაბრუნების საკითხიც[42]. რიგ შემთხვევებში, მოსამართლე ვერ ავლენს გენდერულად სენსიტიურ დამოკიდებულებას, რის გამოც, მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა მოსამართლის მიერ გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულმა პირმა ყოფილი პარტნიორი, 26 წლის ქალი, სამი შვილის თანდასწრებით მოკლა[43].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით, ჩადენილი დანაშაულების მიხედვით, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2020-2023 წლებში ოჯახში ძალადობის საქმეებზე ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების სახეების თაობაზე.

[39] GREVIO-ს (საბაზისო) შეფასების ანგარიში, 2022, გვ. 69
[40] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 198
[41] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 199
[42] „2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი“, სახალხო დამცველი, 2023. გვ. 30
[43] ახალი წელი ქალების გარეშე - ფემიციდი 2022 წელს (28.12.2022) (ბოლო ნახვა: 28.09.2023)

დიაგრამა 1. 2020-2023 წლებში ოჯახში ძალადობის საქმეებზე ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები.



	2020	2021	2022
გირაო/ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით	1140	1187	1033
პატიმრობა	1188	1068	1102
პირადი თავდებობა	2	3	2
შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	4	2	3

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2020-2022 წლებში ოჯახში ძალადობის საქმეებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე არის პატიმრობა და გირაო / გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. მათგან, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს გირაო / გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეეფარდა - 1187 პირს, ხოლო პატიმრობა - 1068 პირს. ეს ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოსამართლეთა მიერ ხშირად გამოიყენება გირაოს შეფარდება, ხოლო 2021 წელს გირაოს შეფარდების სტატისტიკური მაჩვენებებელი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებასაც კი აჭარბებდა. 2023 წლის 6 თვის მონაცემებით, გირაო / გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეეფარდა 469 პირს, პატიმრობა კი - 503 პირს, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა წლების მსავსად, ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით, მოსამართლეთა მიერ გირაოსა და პატიმრობის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდება წელსაც თითქმის ერთმანეთს უტოლდება.

ოჯახში ძალადობის ზოგიერთი საქმე იმდენად სპეციფიკურია, რომ მოსამართლეთა მიერ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გაუმართლებელია, რადგან ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა. ხოლო, ოჯახში ძალადობის საქმეებზე ბრალდებული პირების მიმართ გამოხატული ლმობიერი მიდგომა ზრდის შემდგომში უფრო მძიმე შედეგების დადგომის რისკებს და წარმოადგენს სახიფათო ტენდენციას[44].

გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების სახით პირისთვის გირაოს შეფარდება, ხშირად, ისევ ოჯახის გადასახდელი ხდება და თავის პირვანდელ აზრს

[44] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ოჯახში ძალადობის საქმეების წარმოებისას მართლმსაჯულების ხარვეზების თაობაზე (13.09.2022) (ბოლო ნახვა: 08.10.2023)

კარგავს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი საქმის მასალების მიხედვით, ძალადობის მსხვერპლი ქალი ბედთან შეგუებას ორი შვილის ხათრით ცდილობდა, რადგან თავადაც უმამოდ გაზრდილიყო და არ სურდა, რომ მის შვილებსაც იგივე ბედი გაეზიარებინათ. ერთ დღეს, როცა სახლში მოსულ ნასვამ კაცს დედამ კამათი დაუწყო, მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ შუაღამისას უნდა დაეტოვებინათ დედის სახლი და ცოლს წასვლისკენ მიუთითა. როდესაც მოთხოვნაზე მეუღლისგან უარი მიიღო, ამის გამო გაბრაზდა და ცოლზე შვილების თანდასწრებით ფიზიკურად იძალადა, მას თმებში მოქაჩა და ზურგში ჩაარტყა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქალს დედამთილმა პოლიციაში დარეკვა ურჩია და ამგვარად მოხერხდა ფაქტის შესახებ სამართალდამცავების ინფორმირება. მეორე დღეს, მოძალადე მამაკაცს არაფერი ახსოვდა, მეუღლემ კი მისი დაპატიმრებისგან თავის შეკავება ითხოვა. შედეგად, მოძალადე მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.

აღნიშნულ საქმეში, იკვეთება სისტემური სოციალურ-სამართლებრივი ლაფსუსი, რადგან გირაოს თანხის - 2000 ლარის გადახდა თავად მსხვერპლს მოუწია დედის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი ფულით. აქედან გამომდინარე, მსხვერპლი დედამთილს ემდურის, რადგან პოლიციაში დარეკვისკენ მან უბიძგა, ხოლო გირაოს თანხის გადახდაში არ დაეხმარა. ასევე, მსხვერპლი განიცდის იმ ფაქტს, რომ ბაღში აღმზრდელებმა და ფსიქოლოგმა გაიგეს მისი ოჯახის მდგომარეობის შესახებ. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სისტემის ყურადღების მიღმა დარჩა მსხვერპლის ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მეორადი ვიქტიმიზაცია

ქალები, რომლებიც ახერხებენ ძალადობრივი ჯაჭვის გარღვევას და ცდილობენ საქმე სამართლებრივი თვალსაზრისით ბოლომდე მიიყვანონ, სამწუხაროდ, შესაძლოა გახდნენ მეორადი ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი. ვიქტიმიზაცია, რომელიც არის არა დანაშაულებრივი ქმედების პირდაპირი შედეგი, არამედ დანაშაულზე გარკვეული სტრუქტურებისა და ინდივიდების მიერ გამოხატული რეაგირების შედეგი, ცნობილია როგორც - მეორადი ვიქტიმიზაცია. მაგალითად, მეორადი ვიქტიმიზაცია შეიძლება გამოიწვიოს მოძალადის თანდასწრებით მსხვერპლის განმეორებითი ჩვენების მიცემამ; ერთსა და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით განმეორებითმა დაკითხვებმა; გულგრილმა კომენტარებმა და ა.შ. სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა დაუჭირონ მხარი მსხვერპლებს განცდილი დანაშაულის ნეგატიური შედეგების შესამსუბუქებლად, რათა მოხდეს მათი სრული რეაბილიტაცია, მათ შორის, სამსახურში, სახლში და საზოგადოებაში. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენისთანავე მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამედიცინო, ფსიქოლოგიური, მატერიალური და სოციალური დახმარება, რათა დაზარალებულები მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი მეორადი ვიქტიმიზაციისგან[45].

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების დაკვირვებით, ზოგიერთ საქმეში გამოიკვეთა სამართალდამცავებისა და საზოგადოების მხრიდან ბრალდებულის მიმართ ემპათია, რამაც ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მსხვერპლზე. ასევე, არის შემთხვევები, როცა იწელება

[45] COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS Recommendation Rec(2006)8[1] of the Committee of Ministers to member states on assistance to crime victims (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2006 at the 967th meeting of the Ministers' Deputies); para 1.3; 3.

ძალადობის მსხვერპლი პირის დაზარალებულად ცნობისა და გამოძიების პროცესები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი იურისტის ცნობით, განსაკუთრებით იწელებოდა გამოძიება, როცა ბრალდებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

მნიშვნელოვანია ხელისუფლება ორიენტირებული იყოს მსხვერპლი ქალების რეაბილიტაციაზე. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების მიხედვით, მთავრობა ვალდებულია, დაამტკიცოს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები“, რათა დროულად მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირველადი იდენტიფიკაცია, გამოვლენა, მათი დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და ამ მიზნით სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სუბიექტების დროული, ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის განსაზღვრა[46].

დასკვნა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა ხშირად აღმოცენებულია გენდერულ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისგან. ქვეყანაში არსებული დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, ოჯახში ჩადენილი დანაშაული ხშირად გახმაურების გარეშე რჩება, რაც ამგვარ დანაშაულებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების არასანდოობას უწყობს ხელს. გენდერული როლები ხელს უშლის ქალებს პროფესიული და პირადი ცხოვრების დაგეგმვაში, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თანასწორობის პრინციპის პრაქტიკაში განმტკიცება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის სახით არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულთა სიმრავლე, რაც სხვა ყველაფერთან ერთად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საჭიროებას უსვამს ხაზს.

საქართველოს კანონმდებლობაში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმები არის გათვალისწინებული. მათგან, გამოწვევას წარმოადგენს სექსუალურ ძალადობასთან მიმართებაში, გაუპატიურების ცნების არასწორი ინტერპრეტაცია, მათ შორის, თანხმობის არარსებობის შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გაუპატიურების დანაშაულის გამორიცხვა. ასევე, ფსიქოლოგიურ ძალადობასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მატულობს ინტერნეტის მეშვეობით, მათ შორის, ფოტომანიპულაციების გზით, ჩადენილი ქალთა მიმართ არსებული დანაშაულების რიცხვიც.

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულია არაერთი მწვავე პრობლემა. ოჯახში ძალადობის ციკლის თითოეულ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალდამცავების სწორ ჩართულობას. კერძოდ, ოჯახში დაძაბულობის ზრდის

[46] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“; მ. 7 (4)

პერიოდში, მნიშვნელოვანია სამართალდამცავების მხრიდან ძალადობის სერიოზული ინციდენტის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, ხოლო შერიგების პერიოდში, მათ შორის, დაზარალებულის მიერ განცხადების უკან გატანის შემთხვევებში, მნიშვნელოვანია ბრლადებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება.

საქართველოში, ზოგიერთ თემში, ჯერ კიდევ მისაღებია იძულებითი ქორწინება. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, უნდა გაგრძელდეს მუშაობა იძულებითი ქორწინების და გოგოების მოტაცების პრევენციაზე და მათთვის განათლების ხელმისაწვდომობაზე, მეორე მხრივ კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები სტამბულის კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

იმის მიუხედავად, რომ გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა, პრაქტიკაში, რიგ შემთხვევებში, არ ხდება სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნით დამამძიმებელ გარემოებაზე მსჯელობა. ხოლო, ზოგ შემთხვევაში, მოსამართლე განაჩენში არ ასაბუთებს გენდერის ნიშნით დამამძიმებელი გარემოების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს მოძალადეებში დაუსჯელობის სინდრომის გაჩენას. გარდა გენდერის ნიშნისა, აღსანიშნავია, რომ მოძალადე ხშირად არჩევს მსხვერპლს გარკვეულ ჯგუფს მიკუთვნებულობის ნიშნის მიხედვით, აქედან გამომდინარე, ხშირია ძალადობა, მაგალითად, შშმ ქალებზეც.

ხშირად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ბრალდებულებს პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებები ეფარდებათ. რიგ შემთხვევებში, მოსამართლეები არასათანადოდ აფასებენ რისკებს, ხოლო გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებული მოძალადეები, გათავისუფლების შემდეგ კიდევ უფრო მძიმე დანაშაულების ჩადენით გამოირჩევიან. ასევე, ამგვარ დანაშაულში ბრალდებული პირისთვის გირაოს შეფარდება პრობლემურია იმ თვალსაზრისითაც, რომ თანხის გადახდა ზოგჯერ, პირადი ურთიერთობების გამო, ისევ მსხვერპლს უწევს.

მნიშვნელოვანია ხელისუფლება ორიენტირებული იყოს, ერთი მხრივ, მსხვერპლი ქალების მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათი სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით სრულ რეაბილიტაციაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- მნიშვნელოვანია გენდერულ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპების დეკონსტრუქცია ქალთა როლის წინ წამოწევის, ოჯახში ჩადენილი დანაშაულის დაგმობისა და ქალთა მიმართ ლმობიერი დამოკიდებულებების გასაღვივებლად მიმართული კამპანიის ხარჯზე.
- გაგრძელდეს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტერეოტიპების დანაშაულისგან გამიჯვნის შესაძლებლობა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებაში მგრძნობელობის გაზრდა.

- ასევე, საჭიროა ცნობიერების ამაღლება სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებით, რათა მოხდეს გაუპატიურების ცნების სწორი ინტერპრეტაცია, მათ შორის, მეუღლის მიერ ამგვარი დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში შესაბამისი სწორი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეფექტური მექანიზმი ქალთა მიმართ გამოხატული ონლაინ ძალადობის ახალი და მზარდი ფორმების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, ფოტო მანიპულაციების მეშვეობით ქალებზე ფსიქოლოგიური ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.
- იმ შემთხვევებში, როცა შემაკავებელი ორდერი ვერ ასრულებს მსხვერპლის დასაცავად საკმარისი მექანიზმის როლს, მნიშვნელოვანია მოხდეს სამართალდამცავი პირების მხრიდან დროული ჩართულობა და რისკების სწორი შეფასება.
- საჭიროა ერთიანი სისტემის ბაზის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის უწყებებს თავიანთი ინიციატივით, მათ შორის, დაზარალებული პირის მიერ მომართვის გარეშეც, გამოიძიონ ოჯახში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული საქმეები.
- უნდა მოხდეს სამართალდამცავი პირების ინფორმირება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სპეციფიკური ფსიქოლოგიის შესახებ, რაც შესაძლოა გამოიხატოს, მათ შორის, მოძალადე პირის გამართლებასა და მის წინააღმდეგ არსებული განცხადების გამოხმობაში. ამ ყოველივემ არ უნდა შეუშალოს ხელი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.
- მთავრობამ შესაბამისად უნდა აღრიცხოს იძულებითი ქორწინებისა და ქალთა მოტაცების ფაქტები.
- დამატებითი რესურსი უნდა დაიხარჯოს საქართველოში იძულებითი ქორწინებისა და გოგოების მოტაცების დანაშაულებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგიერთ თემში ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- შესაბამისმა უწყებებმა უნდა იზრუნონ მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციისგან თავის არიდებასა და მისი სრული რეაბილიტაციის უზრუნველყოფაზე.

საერთო სასამართლოებს

- მოსამართლეებმა სასჯელის დანიშვნისას, საქმის ფაქტობრივი შინაარსიდან გამომდინარე, უნდა იხელმძღვანელონ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებით, რათა აღიკვეთოს, მაგალითად, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად არმიჩნევის პრაქტიკა.
- სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება უნდა იყოს რისკების ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რათა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებულმა პირმა არ ჩაიდინოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კიდევ უფრო მძიმე დანაშაული.
- იმ შემთხვევებში, როცა საქმეში გამოხატულია გენდერული მოტივის ნიშნები, მაგალითად - მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული, მესაკუთრული ან სექსისტური დამოკიდებულება და ქცევის კონტროლი, მნიშვნელოვანია, სასამართლომ იმსჯელოს გენდერული ნიშნით დამამძიმებელი გარემოების შესახებ და სასამართლო

განაჩენში სათანადოდ დაასაბუთოს მისი გამოყენება/ გამოყენებისგან თავის შეკავების შესახებ გადაწყვეტილება.

საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა მოხდეს ე.წ. სტამბულის კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის ასახვა. კერძოდ, ქმედება, რომლიც გულისხმობს პირის შეტყუებას იმ მხარის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ის არ ცხოვრობს, მასთან ქორწინების იძულების მიზნით, უნდა იყოს კანონმდებლობით დასჯადი.
- ე.წ. სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შეიცვალოს გაუპატიურების განმარტება იმგვარად, რომ თანხმობის არარსებობა იყოს დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი.